



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №52/273-18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

---, ---, --- და სხვათა 2018 წლის 01 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №250/52/273-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 20 მარტს.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული ფაქტები:

--- სასამართლოს მოსამართლე --- წარმოებაში წინასასამართლო სხდომის ეტაპზე იმყოფებოდა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ --- მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. ბრალდებულ --- ინტერესებს იცავდა 14 ადვოკატი, რის გამოც, დაცვის მხარემ 7-8 დღით ადრე მიმართა სასამართლოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის სხდომის დიდ სასამართლო დარბაზში გამართვის თაობაზე.

2018 წლის 17 ოქტომბერს, №-- სასამართლო სხდომის დარბაზში, საქმის განხილვის დაწყებამდე, ადვოკატებმა: --- და --- განმეორებით, კორექტული პრეტენზიის ფორმით, კვლავ სთხოვეს სასამართლოს სათანადო დარბაზით უზრუნველყოფა. მოსამართლემ აგრესიული ტონით თავდაპირველად უარყო მათი მოთხოვნა, თუმცა შემდეგ სხდომა დიდ სასამართლო დარბაზში გააგრძელა.

1.2. სხდომის მიმდინარეობისას, მოსამართლემ აგრესიული ტონით დააყვედრა დაცვის მხარეს, რომ მათ გამო მუშაობდა დიდ სასამართლო დარბაზში. აღნიშნულს, ადვოკატების მხრიდან კორექტული ფორმის პროტესტი მოჰყვა.

1.3. ბრალდებულმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, სახელმწიფო ბრალმდებლის აცილების თაობაზე. შუამდგომლობაში ბრალდებული უთითებდა, რომ პენიტენციურ

დაწესებულებაში პროკურორმა მას აუკრძალა სხვა პირებთან კომუნიკაცია, აღნიშნულზე დადგენილება არ გადააგზავნა პენიტენციურ დაწესებულებაში და არც მას გააცნო. შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ, სასამართლომ მოსაზრებისთვის სახელმწიფო ბრალმდებელს მიმართა, რაც გააპროტესტა დაცვის მხარემ. პროტესტის შედეგად დაცვის მხარის ადვოკატებსაც მიეცათ პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა; შუამდგომლობის განხილვის პროცესში, მხარეთა თანხმობის გარეშე, მოსამართლემ მიმანიშნებელი შეკითხვით მიმართა პროკურორს.

1.4. სახელმწიფო ბრალმდებლის აცილების თაობაზე, შუამდგომლობის განხილვის დროს, მოსამართლე ცდილობდა დაცვის მხარე წარმოეჩინა არაკვალიფიციურად. მოსამართლე მიმართავდა დარბაზში მყოფ პირებს, უხსნიდა, რომ ადვოკატები არღვევდნენ დაცვის უფლებას და მათ არ ესმოდათ სასამართლოს განმარტებები. პარალელურად, მოსამართლე დიპლომატიურად აცხადებდა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა ადვოკატების პროფესიონალიზმში. დაცვის მხრიდან სამართლიან პრეტენზიაზე, მოსამართლე ისევ აგრესიული ტონით პასუხობდა.

1.5. ადვოკატ -- -- სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობა - ბრალდებულისთვის, ეთნოგრაფიული ნიშნებით სამკლავურის დაბრუნების თაობაზე. ადვოკატს, სასამართლომ შუამდგომლობის დასაბუთება, კონკრეტული მუხლებზე მითითებით მოსთხოვა. იმ პერიოდში, როცა შუამდგომლობაში ადვოკატი -- -- უთითებდა სამართლებრივ ნორმებს წერილობით, მოსამართლის ნებართვით, მოსაზრებებს გამოხატვა განაგრძეს ბრალდებულმა და სხვა ადვოკატებმა. ამ პროცესში ადვოკატი -- -- ყვირილით შეაჩერა მოსამართლემ. მან სასამართლოს მანდატურს მიმართა, ჩამოერთვა ადვოკატისთვის მიკროფონი და სხვისთვის გადაეცა. პარალელურად, ადვოკატ -- -- სასამართლომ მიუთითა, რომ თუ მხარს უჭერდა შუამდგომლობას, დაესახელებინა კონკრეტული მუხლი. ადვოკატ -- -- აღნიშნა საქართველოს სსსკ-ის 93-ე მუხლზე და განმარტა, რომ მუხლი არ ითვალისწინებდა შუამდგომლობის ავტორისგან კონკრეტული ნორმის მითითების ვალდებულებას. ადვოკატ -- -- ნათქვამი მოსამართლემ შეაფასა სასამართლოს უპატივცემულობად და გამოუცხადა ზეპირი შენიშვნა.

1.6. დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობა - მოსამართლის აცილების თაობაზე. შუამდგომლობაში მითითებული იყო, რომ მოსამართლე არღვევდა დაცვის მხარის უფლებებს და ახდენდა ეროვნული ნიშნით მათ დისკრიმინაციას. აღნიშნული მოსამართლემ შეაფასა სასამართლოს უპატივცემულობად. ადვოკატის შეკითხვაზე, კონკრეტულად თუ რაში გამოიხატა უპატივცემულობა, მოსამართლემ მას მიმართა: „ნუ მომყვებით კამათში, რაც ისაუბრეთ მთლიანად არის სასამართლოს უპატივცემულობა“; აცილების შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, მიუთითა კონკრეტულ მუხლებზე და გადაწყვეტილების გამოცხადების დასასრულს განაცხადა: „შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს“. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატ -- -- მიმართა მოსამართლეს, რომ ბრალდებულს სურდა განცხადების გაკეთება. მოსამართლემ იგი ყვირილით შეაჩერა: „არაერთი შენიშვნის მიუხედავად, ვსაუბრობ, განჩინებას ვაცხადებ და ორივე, ადვოკატი -- -- და ადვოკატი ბატონი -- -- განჩინების გამოცხადების დროს მაწყვეტინებთ“. აღნიშნულის გამო, სასამართლომ ორივე ადვოკატი 200-200 ლარით დააჯარიმა; საჩივარში მითითებულია, რომ სიმართლეს არ შეესაბამება მოსამართლის განცხადება, თითქოს დაცვის მხარემ შეაწყვეტინა სასამართლოს განჩინების გამოცხადება. მომჩივანთა მოსაზრებით ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ დაჯარიმების განკარგულების გამოცხადების შემდეგ, სასამართლოს აცილების თაობაზე განჩინების დასაბუთება არ გაუგრძელებია და მოსამართლემ პირდაპირ ბრალდებულს მისცა საუბრის შესაძლებლობა. სასამართლოს ამგვარმა ქმედებამ გამოიწვია დაცვის მხარის პროტესტი. ადვოკატ -- -- სასამართლოს მიუთითა დარღვევებზე, რის გამოც, იგი მოსამართლემ 100 ლარით დააჯარიმა.

1.7. მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, 2018 წლის 17 ოქტომბერს დაცვის მხარემ (ბრალდებული, ადვოკატები) დატოვა სასამართლო სხდომა. სხდომის ოქმის თანახმად, მოსამართლემ თავდაპირველად სხდომა დახურულად გამოაცხადა (16:50 საათი), სამი წუთის შემდეგ,

ასევე სხდომის ოქმის მიხედვით, გამოაცხადა შესვენება (16:53 საათი), ხოლო 45 წუთის გასვლის შემდეგ, სხდომა თავიდან გახსნა (17:38) და გადადო (17:59).

1.8. 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის საფუძვლით, სასამართლოს სხდომის დარბაზი (მოსამართლის ნებართვით) დროებით დატოვა ადვოკატმა -- --. იგი სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც დაცვის მხარემ პროტესტის ნიშნად დატოვა სასამართლო სხდომა. სასამართლომ ისარგებლა აღნიშნული გარემოებით და დაუმალა ადვოკატს ბრალდებულის სურვილი - ყველა მის დამცველს დაეტოვებინა სხდომის დარბაზი. შედეგად, ადვოკატ -- -- მონაწილეობა მიიღო ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვაში.

1.9. 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, ადვოკატ -- -- სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების განმეორებით განხილვის შესახებ. შუამდგომლობაში აღნიშნული იყო, რომ ადვოკატები არ ესწრებოდნენ ამ საკითხის განხილვას წინა სხდომაზე, ხოლო ადვოკატ -- -- მონაწილეობა ვერ იქნებოდა მიღებული მხედველობაში, რადგან მან არსებული რეალობა და ბრალდებულის პოზიცია არ იცოდა. შუამდგომლობის განხილვის პროცესში, სასამართლომ უსაფუძვლოდ გააფრთხილა ადვოკატი -- --. ასევე, სხდომის გახსნიდან 2 საათის შემდეგ, წინა სასამართლო სხდომაზე დარბაზის დატოვების გამო, გაფრთხილებული იქნა ადვოკატები. საბოლოოდ, მოსამართლემ წინასასამართლო სხდომის ეტაპზე ორჯერ იმსჯელა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე, რაც საპროცესო კანონმდებლობის შეუსაბამოა. ამავე სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ ასევე უსაფუძვლოდ დააჯარიმა ადვოკატი -- -- 500 ლარით.

1.10. 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე როგორც, მოსამართლე ასევე, პროკურორი სარგებლობდნენ მობილური ტელეფონებით. მომჩივანთა მოსაზრებით, ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

1.11. 2018 წლის 17 ოქტომბრისა და 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომები, მოსამართლემ 1 საათის დაგვიანებით გახსნა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს შსს -- პოლიციის დეპარტამენტის უზნის ინსპექტორების სამმართველოს -- განყოფილების წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის №-- საქმე -- -- მიმართ.

-- -- დაკავებულია 2018 წლის 31 აგვისტოს, ხოლო 2018 წლის 02 სექტემბერს წარედგინა ბრალი, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მეხამე ნაწილით.

-- სასამართლოს 2018 წლის 03 სექტემბრის განჩინებით, ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 სექტემბრის განჩინებით, დაცვის მხარის საჩივარი, -- სასამართლოს 2018 წლის 03 სექტემბრის განჩინებაზე, დაუშვებლადაა ცნობილი.

სს საქმე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაზე, ხოლო არსებული მდგომარეობით, საქმეზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა (მოსამართლე-- --).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 20 მარტის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი

გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1 დისციპლინურ საჩივარში წარმოდგენილი უმეტესი პრეტენზია უკავშირდება სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის/სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის გამო, ადვოკატთა დაჯარიმების არაერთ შემთხვევას, რაც მომჩივანთა მოსაზრებით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იყო სასამართლოს მხრიდან.

წარმოდგენილ პრეტენზიებზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ის საკითხი, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძვლიანობა, სასამართლოს უპატივცემულობის ფაქტებთან დაკავშირებით, არ წარმოადგენს დისციპლინური ორგანოს მსჯელობისა და განხილვის საგანს („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტი). ამ კუთხით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება შეიძლება გადამოწმდეს მხოლოდ სასამართლო წესით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

3.2. 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, სახელმწიფო ბრალმდებლის აცილების თაობაზე. შუამდგომლობის წარმოდგენის შემდეგ, სასამართლომ პროკურორს მიუთითა, დაეფიქსირებინა პოზიცია, რაც დაცვის მხარემ გააპროტესტა, ვინაიდან მათივე განცხადებით, შუამდგომლობასთან ასევე მათაც ჰქონდათ მოსაზრებები. სასამართლომ გაითვალისწინა აღნიშნული, მოუსმინა დაცვის მხარის ადვოკატებს და შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელს.

საქართველოს სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნული დანაწესი გაითვალისწინა დამცველთა პროტესტის შემდეგ. მოსამართლის მხრიდან საპროცესო წესის დარღვევის დადასტურება დისციპლინური კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა დისციპლინური ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია ასევე, სამართლებრივი შედეგიც. ქმედება კუმულაციურად უნდა იწვევდეს მხარის უფლებების/საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო შედეგს¹.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს ქმედებამ მართალია შექმნა საფრთხე, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მხარის საპროცესო უფლების დარღვევა, თუმცა რეალურად, ქმედებას უარყოფითი სამართლებრივი შედეგი არ გამოუწვევია, ვინაიდან დაცვის მხარის უფლება სრულად იქნა რეალიზებული. არსებული მოცემულობის მიხედვით კი, მოსამართლის ქმედება არ სცდება სამართლებრივი შეცდომის ფარგლებს, რის გამოც, დაუშვებელია ფაქტის დისციპლინურ გადაცდომად შეფასება.

საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ აცილების შუამდგომლობის გამოკვლევის პროცესში, მოსამართლემ, მხარეთა თანხმობის გარეშე მიმართა სახელმწიფო ბრალმდებელს მიმანიშნებელი შეკითხვით.

საკითხის გამოკვლევის შედეგად, რაც სასამართლო სხდომის ოქმების აუდიოჩანაწერების შესწავლის საფუძველზე განხორციელდა, დგინდება რომ მოსამართლე შუამდგომლობის განხილვის დროს შეკითხვებით მიმართავდა არამართო ბრალდების, არამედ, დაცვის მხარესაც და აზუსტებდა გარკვეულ გარემოებებს. სადავო საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქვს მოსამართლეს უფლება პროცესის მიმდინარეობის პროცესში დასვას დამაზუსტებელი შეკითხვა, აღნიშნულზე პასუხისთვის მნიშვნელოვანია განიმარტოს შემდეგი:

¹ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის №1/04-12 გადაწყვეტილება

საქართველოს სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება/წარდგენა/გამოკვლევა; მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

საგულისხმოა, რომ ზემოთმიითებული მუხლის დანაწესი იფარგლება და უკავშირდება მხოლოდ იმპერატიულ აკრძალვას, მტკიცებულებათა მოპოვება/წარდგენა/გამოკვლევის პროცესს. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, მოსამართლის შეკითხვამ თუ რამდენად შეიძლება დაარღვიოს მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპი, აღნიშნულზე კანონმდებელი პირდაპირ არ მიუთითებს.

ქმედების დისციპლინური გადაცდომად შეფასების მიზნებისთვის, რეგულირების პროცესში ნორმის განჭვრეტადობის კომპონენტი უმთავრესია. იმ პირობებში კი, როცა სახეზეა სამართლებრივი რეგულაციის ბუნდოვანება და მოსამართლე თავად ახდენს ნორმის შინაგანი რწმენით განმარტებას, პირდაპირი საპროცესო აკრძალვის არარსებობის გამო, ქმედების კანონიერება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ იქნება შეფასებული („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტი).

რაც შეეხება მიმანიშნებელი შეკითხვას, საქართველოს სსსკ-ის 130-ე და 244-ე მუხლების თანახმად, მიმანიშნებელი შინაარსის მქონე კითხვის დასმა აკრძალულია მხოლოდ: პირისთვის, საგამომიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში და მოწმისთვის პირდაპირი დაკითხვის დროს. აკრძალვა არ ეხება სხვა საპროცესო მოქმედებებს. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო იხილავდა მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობას. შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 130-ე და 244-ე მუხლებით დადგენილი აკრძალვა, მიმანიშნებელი შეკითხვის დასმის დაუშვებლობაზე, ვერ იქნება გავრცელებული.

3.3. 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ წარმოადგინა მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობა. შუამდგომლობაში ადვოკატი უთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა დაცვის მხარის უფლებების შეზღუდვას მოსამართლის მხრიდან და ახორციელებდა დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნით. მოსამართლემ შეაწყვეტინა მას საუბარი და გააფრთხილა სასამართლოს უპატივცემულობის გამო.

ადვოკატი: ერთი სიტყვა მაინც ვთქვი უპატივცემულოდ?

მოსამართლე: დიახ, ნუ მომყვებით კამათში, რაც ისაუბრეთ მთლიანად არის სასამართლოს უპატივცემულობა. თქვენ ადვოკატი ბრძანდებით და შესაბამისი უფლებებიც გაქვთ და მოვალეობებიც. თქვენ უნდა გამოხატოთ მოსაზრებები, მაგრამ არ უნდა გამოიჩინოთ სასამართლოს უპატივცემულობა.

მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. განჩინების გამოცხადების პერიოდში, სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, ადვოკატი -- -- აცხადებს, რომ „ეს არ არის დემოკრატია“. სასამართლომ მიუთითა მას „ნუ მაწყვეტინებთ“ და განაგრძო განჩინების გამოცხადება. აღნიშნულის შემდეგ მოსამართლეს, მიმართავს ადვოკატი -- -- და აღნიშნავს, რომ ბრალდებულს სურს განცხადების გაკეთება. სასამართლომ ორივე ადვოკატი, განჩინების გამოცხადების შეწყვეტისა და სასამართლოს უპატივცემულობის გამო, დააჯარიმა 200-200 ლარით.

დაჯარიმების თაობაზე განკარგულების გამოცხადების შემდეგ, სასამართლომ განცხადების უფლება მისცა ბრალდებულს. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიო ოქმის ჩანაწერის თანახმად, სასამართლოს, აცილების თაობაზე განჩინების დასაბუთება აღარ გაუგრძელებია.

ადვოკატების დაჯარიმების თაობაზე, კომენტარი გააკეთა ადვოკატმა -- --. მისი განცხადებით, სასამართლო ზეწოლას ახდენდა ადვოკატებზე და სასამართლოს უპატივცემულობა სწორედ

მოსამართლის არაკანონიერი ქმედებები იყო. აღნიშნულის და ზოგადად, -- -- მიერ სხდომაზე სხვა შემთხვევებში გაკეთებული განცხადებების გამო, ადვოკატი დაჯარიმდა 100 ლარით. საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ მოცემულ შემთხვევაში უსაფუძვლოდ გააფრთხილა, დააჯარიმა ადვოკატები.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა გაფრთხილება/დაჯარიმების საფუძვლიანობის საკითხები დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ იქნება შეფასებული (იხ. დასაბუთება 3.1. და 3.2. პუნქტებში).

3.4. ადვოკატ -- -- დაჯარიმების თაობაზე, სასამართლოს განკარგულების გამოცხადებას დარბაზში მოჰყვა ხმაურიანი შეძახილები და ტაში; ადვოკატ -- -- განცხადების საფუძველზე, ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სასამართლო სხდომის დარბაზი.

სასამართლოს განკარგულებით, საქართველოს სსსკ-ის 182-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო სხდომა დაიხურა (16:50 საათი). სასამართლო პროცესზე დასწრებაზე ასევე უარი განაცხადა ბრალდებულმა. სასამართლო პროცესზე გამოცხადდა შესვენება (16:53 საათი).

სასამართლო სხდომა განახლდა 17:39 საათზე. სხდომაზე გამოცხადდა ბრალდებულის ადვოკატი -- --. ვინაიდან ადვოკატს პროტესტის ნიშნად არ ჰქონდა დატოვებული სხდომის დარბაზი², სასამართლომ განუმარტა მას, რომ ადვოკატების, ასევე ბრალდებულის განცხადებით, მათ არ სურდათ სხდომაში მონაწილეობა, რის გამოც, პროტესტის ნიშნად ჰქონდათ დატოვებული სხდომის დარბაზი. სასამართლოს შეკითხვაზე, თუ როგორი იყო მისი პოზიცია, ადვოკატმა თანხმობა განაცხადა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე (იხ. დასაბუთება 3.6. პუნქტში).

სასამართლომ, მხარეთა მონაწილეობით, საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების საკითხზე და უცვლელად დატოვა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობის საპროცესო ღონისძიება.

3.5. საჩივარში აღნიშნულია რომ მოსამართლემ სხდომა დახურა (16:50 საათი), სამი წუთის შემდეგ, გამოაცხადა შესვენება (16:53 საათი), ხოლო 45 წუთის გასვლის შემდეგ, სხდომა თავიდან გახსნა (17:38) და გადადო (17:59).

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს განკარგულებით, საქართველოს სსსკ-ის 182-ე მუხლის საფუძველზე, წესრიგის დაცვის მიზნით, სხდომა დახურულად გამოცხადდა. „სხდომის დახურვა“, მითითებული საპროცესო საფუძვლით უკავშირდება სხდომის საჯაროობის სამართლებრივ შედეგს და არ იწვევს საქმის განხილვის შეჩერებას.

დამატებით ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლზეც, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს უფლებამოსილებას, ისარგებლოს სხდომის მიმდინარეობისას შესვენებით.

შესაბამისად, წესრიგის დაცვის მიზნით, სასამართლო სხდომის დახურვის შემდეგ მოსამართლე უფლებამოსილი იყო გაეგრძელებინა როგორც საქმის განხილვა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ესარგებლა შესვენებით. ამდენად, წარმოდგენილ შემთხვევაში საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ დასტურდება.

3.6. საჩივრის ავტორთა განმარტებით, სასამართლომ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ადვოკატებს პროტესტის ნიშნად ჰქონდათ სასამართლო სხდომის დარბაზი დატოვებული, დაუმალა ადვოკატ -- --

² სასამართლოს ნებართვით, ადვოკატ -- --, სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის გამო, დროებით დატოვებული ჰქონდა სასამართლო პროცესი და არ იმყოფებოდა სხდომის დარბაზში იმ პერიოდში, როცა ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომა.

ბრალდებულის სურვილი - ყველა მის ადვოკატს დაეტოვებინა სხდომის დარბაზი და ამგვარი ფორმით მონაწილეობა მიაღებინა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვაში.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების თანახმად, ბრალდებულის პოზიცია, შემდეგი ფორმულირებით, რომ მის ყველა ადვოკატს დაეტოვებინა სხდომის დარბაზი, არ დასტურდება. სხდომის დარბაზი, ადვოკატ -- -- განცხადების საფუძველზე თავდაპირველად დატოვეს სხდომის დარბაზში მყოფმა ადვოკატებმა და შემდეგ ბრალდებულმა, რომელმაც განაცხადა რომ არ სურდა საქმის განხილვაში მონაწილეობა.

ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზეც, რომ სასამართლომ ადვოკატ -- -- სხდომის გახსნისთანავე მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადვოკატებს და ბრალდებულს დატოვებული ჰქონდათ პროტესტის ნიშნად სხდომის დარბაზი. ამასთან, ბრალდებულის განცხადებით, მას არ სურდა სხდომაში მონაწილეობა. ადვოკატმა დაადასტურა, რომ მისთვისაც ცნობილი იყო აღნიშნულის თაობაზე. შეკითხვაზე, სურდა თუ არა მას საქმის განხილვაში მონაწილეობა, ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების განხილვაში. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, შეცდომაში შეიყვანა ადვოკატი და ამგვარ ქმედებამ განაპირობა მისი საქმეში მონაწილეობა.

3.7. 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომა გაიხსნა 15:54 საათზე. მხარეთა გამოცხადების შემოწმების შემდეგ, სასამართლომ გააფრთხილა დაცვის მხარის ადვოკატები 2018 წლის 17 ოქტომბერს სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვების შედეგად, სასამართლო პროცესის ჩაშლის გამო (15:55).

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომის დატოვების გამო, მოსამართლემ დაცვის მხარის ადვოკატები, 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომის გახსნიდან, 2 საათის შემდეგ გააფრთხილა. აღნიშნული, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის საფუძველზე, არ დასტურდება. გაფრთხილების საფუძველიანობა კი, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ იქნება შეფასებული (იხ. დასაბუთება 3.1., 3.2. და 3.3. პუნქტებში).

3.8. 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, ადვოკატ -- -- სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების თაობაზე. შუამდგომლობაში მითითებული იყო, რომ 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე იმსჯელა არაუფლებამოსილი ადვოკატის მონაწილეობით, რის გამოც, საპროცესო მოქმედება (აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობა) ვერ ჩაითვლებოდა კანონშესაბამისად. კერძოდ, ადვოკატი მიუთითებდა, რომ ბრალდებულ -- -- სურვილი იყო, ყველა მის ადვოკატს დაეტოვებინა 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო პროცესი, რის თაობაზეც, ადვოკატი -- -- არ იყო ინფორმირებული. შესაბამისად, იგი არ იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა ბრალდებულის დაცვა სასამართლო სხდომაზე. ადვოკატი მიიჩნევდა, რომ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე სასამართლოს განმეორებით უნდა ემსჯელა.

სასამართლომ, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და განმარტა, რომ ადვოკატის სადავო უფლებამოსილების საკითხი, წინასასამართლო სხდომის პირობებში აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენდა. საფუძველად, სასამართლო მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლზე და განმარტა, რომ მხარეთა მონაწილეობით აღკვეთის ღონისძიების განხილვის სავალდებულობა კანონით გათვალისწინებული არ იყო. ამასთან, საქმეზე წარმოდგენილი სხვა გარემოებებიც არ იძლეოდა საფუძველს, აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ წინასასამართლო სხდომის პირობებში ორჯერ იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების საკითხზე, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საპროცესო კანონის მოთხოვნებს.

საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი;

„ორ თვეში ერთხელ მაინც“ პატიმრობის საკითხის განხილვა წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს, რაც ბრალდებულთან მიმართებაში იმპერატიული წესით უნდა იქნეს აღსრულებული. პარალელურად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე თვლის, რომ წარმოიშვა გარემოებები, რის გამოც, წარმოდგენილი მოცემულობა აღარ პასუხობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანს, საპროცესო კანონით მხარე არ იზღუდება უფლებით, დადგენილ 2 თვიან ვადაზე ადრე მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, გაუქმება ან გამოყენება, წარმოშობილ ახალ გარემოებებთან შესაბამისობაში.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების საკითხი 2018 წლის 17 ოქტომბრისა და 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომებზე შეაფასა სხვადასხვა მოცემულობით და საფუძვლებით. შესაბამისად, არ დასტურდება ერთიდაიგივე საკითხზე, ანალოგიური საფუძვლებით განმეორებით მსჯელობის შემთხვევა (საქართველოს სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

შესაბამისად, საჩივარში მითითებული პრეტენზია, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების განხილვის დაუშვებლობაზე, იმ პირობებში, როცა მხარე ითხოვს განსხვავებული გარემოებების საფუძველზე მის შეფასებას, ვერ იქნება გაზიარებული.

3.9. საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, 2018 წლის 17 ოქტომბერს სასამართლო სხდომა ნაცვლად 13:00 საათისა, დაიწყო 14:03 საათზე, ხოლო 2018 წლის 23 ოქტომბრის სხდომა - 15:00 საათის ნაცვლად, 15:54 საათზე.

სასამართლოში განსახილველად წარმოდგენილი საქმეების საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულება მოსამართლისაგან მოითხოვს პუნქტუალურობას, სასამართლო სხდომებზე დასწრებისას და სასამართლოსათვის განსახილველად წარმოდგენილი საკითხების ოპერატიულად განხილვისას. სასამართლო სხდომების განრიგის დარღვევა, მათი არარეგულარულობა, სასამართლო პროცედურის დაგვიანებას და გაჭიანურებას იწვევს და სასამართლოთა მუშაობაზე არასახარბიელო წარმოდგენას ქმნის.³

კონკრეტულ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანია, რომ 2018 წლის 17 ოქტომბრის, ასევე 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომა დაიწყო 1 საათის დაგვიანებით, თუმცა საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა გარემოებები, რაც ასევე მნიშვნელოვანია საბოლოო შეფასებისა და დასკვნისთვის: 2018 წლის 17 ოქტომბერს, ასევე, 2018 წლის 23 ოქტომბერს, მოსამართლე -- -- გარდა, -- -- მიმართ სს საქმისა, იხილავდა ასევე სხვა საქმეებს, კერძოდ: -- სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე (--) მითითებული ინფორმაციის თანახმად, თავდაპირველად -- -- მიმართ სს საქმის განხილვა, 2018 წლის 17 ოქტომბერს 13:00 საათზე დაგეგმილი იყო №-- დარბაზში. აღნიშნულ სხდომამდე, მოსამართლე იხილავდა -- --ს მიმართ სს საქმეს. -- -- მიმართ სს საქმეზე გამართული სასამართლო პროცესი (№-- დარბაზი) მოსამართლემ დაასრულა 12:54 საათზე, რის შემდეგაც იგი დარჩა სხდომის დარბაზში სადაც შედგა მასსა და -- -- ადვოკატებს შორის კომუნიკაცია №-- დარბაზის, №-- დარბაზით შეცვლის თაობაზე. დარბაზის შეცვლის გამო, სხდომის გახსნის ორგანიზება

³ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, & 208, თბილისი 2015

გაჭიანურდა. სასამართლო სხდომის ვიდეოჩანაწერის თანახმად, №-- დარბაზში მხარეები სრულად გამოცხადდნენ 13:45 საათისათვის, ხოლო საბადრაგო სამსახურის მიერ ბრალდებული სხდომის დარბაზში წარმოდგენილია 13:58 საათისათვის. სხდომა გაიხსნა 14:03 საათზე. ამდენად, 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის დაგვიანებით გამართვა განაპირობა დაცვის მხარის ინიციატივამ, სასამართლო სხდომის დარბაზის შეცვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოსამართლის ბრალეულობა არსებულ მოცემულობასთან მიმართებით, არ დასტურდება.

2018 წლის 23 ოქტომბრის 15:00 საათზე დანიშნულ სხდომასთან მიმართებით კი უნდა აღინიშნოს, რომ 15:07 საათზე მოსამართლე -- -- დაასრულა ბრალდებულ -- -- სასამართლო სხდომა. -- -- მიმართ კი, სასამართლო სხდომა გაიხსნა 15:54 საათზე. კონკრეტულ შემთხვევაში სხდომის დაგვიანებით გახსნა განაპირობა სხვა სს საქმის დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელებამ, ხოლო სხდომის დასრულების შემდეგ, მომდევნო საქმის (-- -- მიმართ სს საქმე) მხარეთა დასწრების ორგანიზებამ. მოცემული წარმოადგენს ობიექტურ გარემოებებს, რის გამოც, არსებული დროით სასამართლო სხდომის დაგვიანებით გახსნა მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებად ვერ იქნება შეფასებული.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორების მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 20 მარტის დასკვნით დადგინდა, რომ -- --, -- --, -- -- და სხვათა 2018 წლის 01 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- --, -- --, -- -- და სხვათა 2018 წლის 01 ნოემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი